

1939

საქართველოს
ბავშვთა ჟურნალი

თქცოძობრუდი



1939 წ.

№2



ოქტომბრული

1939 წ.
ბანოცემელობა „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საბ. ა. ლ. ქ. ქ. ცეკას და საბ. ბანსახკომის ერთობიური ორბანო

შინაპრსი

59.

1. შალვა და დინანი, — სელუბი-ტელუბი (მოთხრობა)	1
2. ნ. ნაბადლი, — სტუმრები (ნარკვევი)	3
3. ლილია მებრალიძე, — ნანა პატარავ, ნანა (ლექსი)	4
4. მახვალა მამვილი, — პატარა ბიჭიკოს ნატერა (ლექსი)	4
5. ანა ხანუტაშვილი (ცდმითი), — ვირთავა (მოთხრობა)	5
6. აკნო მნელი, — აბა შიხარით, ვინ ვარ? (ლექსი)	7
7. სიმონ ძვარციანი, — შალვა და დინანი (ლექსი)	7
8. მზა მღვთაიშვილი, — პატარა მასა (მოთხრობა)	8
9. მახვალა მამვილი, — ხამთარი სოფლიად (ლექსი)	11
10. სიმონ მამვილი, — აკნის (ლექსი)	11
11. ალ. სულაშვილი, — ხალხის საყვარელი მწერალი (წერილი)	12
12. ე. — ლი, — შიხა და ოთამი (ლექსი)	14
13. მ. კაციტაძე, — რატომ იწეოდა ქოხები (მოთხრობა)	14
14. თ. შანშიაშვილი, — ხალი წიგნები (წერილი)	გარეკანის მე-2 გვ.
15. ალ. სანინოვი, — გამოსანები	გარეკანის მე-4 გვ.

გურნლის გაფორმება და ყდის მხატვრობა ეკუთვნის — კ. ჭიჭიანი

პასუხისმგებელი რედაქტორი — ლ. შინაპრსი პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი

გადაეცა წარმოებას 27/I-1939 წ. ქალაქის ზომა 60x92
ბელმოწერლია დასაბუქდალ 19/II ფორმათა რაოდენობა 20 გვ. 9 1/2 x 14

სველია-ჭველია



3575

ამ სახელს დათუნას უწოდებენ, რადგან მეტისმეტი მსუნავია და, თუ რამ ხელთ იგდო, მაშინვე შესანსლავს. თანაც კაბა ისეთი იცის, რომ სველია-ტვლეა გაულის და ეს სახელიც იმიტომ შერქმევია.

საერთოდ კი შედარებით უწყინარი ნადირია და თუ ძალიან არა შიან, ან ვისმესაგან ვახელებული არ არის, ახირებულად არავის შეუტევს ხოლმე.

ამასწინათ მე და ჩემი ამხანაგი მთაში ვიყავით. ტყისაკენ გავისერიწეთ და საუბარმა ისე გაგვიტაცა, რომ ტყის შუაგულში მოგვხვდით.

გავიხედეთ, ტყიდან კარგა ზორბა დათვი გამოაჯბაჯდა და პირდაპირ ჩვენკენ წამოვიდა. შევატყუე, რომ გადახვევას ვერსით ვერ მოვასწრებდით და შეიძლება ფერმა გადაგვკრა, მაგრამ მაინც არ დავიბენით და დინჯად განვაგრძეთ ჩვენი გზა.

დათვა ჩვენს დანახვაზე მხოლოდ დათვი დაქნა და მშვიდად ჩაგვიარა გვერდი.

რომ გავცილილით, თავისუფლად ამოვისრქათ და მისი თავის დაქნევა თავის დაკრებად მივიღეთ. ვიცინოდით, რომ ზრდილობიანი დათვი ყოფილა და სალაში მოგვკაო.


მაგრამ ამ უწყინარს ერთხელ, თურმე, დიდი უსიამოვნება შეემთხვა.

ეს გვიამბო იმ ტყის ტყაჩუმ, სადაც ჩვენ დავსერიწობდით.

— ტყის ნაპირას ცხვრის ფარა სძოვდაო, — მოგვითხრობდა ხანდაზმული ტყაჩუ. — ეს უთუოდ შენიშნა დათუნამ და მაშინვე კი არ ეცა ფარას, არამედ სადღაც

შორიახლო მოძებნა ერთი დიდი ხის ფულურო და შიგ ჩაძვრა. უთუოდ იმისათვის, რომ იქიდან უფრო კარგა გამოერჩია საუკეთესო და მსუქანი კრავი. დათუნა ამისთანებში მოსაზრებული ცხოველია, იცის, რომ მის გამოჩენაზე ცხვრის ფარა დაფრთხება, გაიფანტ-გამოიფანტება და სანამ მწყემსი ან მისი ძაღლები მოასწრებდნენ, ის მოახერხებს თავისი კლანჭები გაჭრას რომელიმე ათვალთვალეზულს და ტყისაკენ გააძუნძულოს. მაგრამ დახეთ უბედობას! იმ ფულუროში, საცა ჩვენი დათუნა ჩამძვრალიყო, თურმე, ფუტკრების სკა იყო მოთავსებული და როდესაც ფულუროში ჩაქედლიმა ნადირმა იკაურობა დააბნელა და შესასვლელ-გასასვლელი თავისი სხეულით ამოუქოლა, მგრძნობიარე ფუტკრებმა მაშინვე შენიშნეს ეს მათთვის საშინელი ამბავი და, ცხადია, იმ წამსვე თათბირს შეუდგნენ. თქვენ გეცოდინებათ, ამხანაგებო, რომ ფუტკრებს საერთოდ საკვირველი კოლეტივი აქვთ შედგენილი, დიდი წესრიგიც აქვთ ამ კოლეტივში და მყარებული და უთათბიროდ და უგეგმოდ არაფერს არ აკეთებენ. აქაც ასე მოხდა. ჯერ დასაზვერავად გავზანეს უფრო გაბედული და თავგადადებული ფუტკრები, რომ გავგოთ, თურა ჩამოეთრა მათ ფულუროში. მზვერავები დიდის სიფრთხილით მიცოდნენ დათვის სხეულთან და იგრძნეს თუ არა დათვის ბეჭის შეხება, მაშინვე მომარეთეს თავიანთი შესამაინი მაშარი და მწყვავედ უჩხვლიტეს ამ დაუბატყებელ სტუმარს. ფუტკრებმა ერთიმეორის ნიშნის

მიცემაც იციან და სწორედ ასეთ ნიშანზე მოვიდა მთელი ჯგრო და ჯარი ფუტკრებისა და საზარლად დაუწყეს კბენა ფულუროში თავისუფლად მოკალათებულ დათუნას. აქ კი აღრიალდა ეს ბანჯგვლიანი და ფულუროშივე უმწეოდ იწყო ტრიალი. ხან ერთ კედელს ეცა, ხან მეორეს, მაგრამ ფუტკრები საშველს არ აძლევდნენ, ყოველი მხრით ესვოდნენ და უსიებდნენ ცხვირ-პირს, მიეღს სხეულს. ვერც გამოძრომა მოახერხა ფულუროდან, რადგან გამოსვლა ისე ადვილი არ შეიქნა, როგორც ჩასვლა ფულუროში. მაინცდამაინც დიდის ვაივაგლახით გადმომაჯბაჯდა ამ უნებლიე სატუსალოდან და მიწაზე დაადგა ფეხი თუ არა, მოქუსლა, რაც შეეძლო. მაგრამ ფუტკრები ეგრე ახირებულად არ მოეშენენ. დათუნა კი ისევ ღრიალებდა და ვითომ იგვირებდა მოიერიშეთ. თუ ზურგიტ გაუწვებოდა, ამ დროს ფუტკრები მიესვოდნენ თავებსა და მუცელში, აქედან რომ მოიშორებდა, ეხლა თავზე შეასხდებოდნენ, იქიდანაც რომ გადაყრიდა, მაშინ ყურებში შეუძვრებოდნენ. სასაცილო სანახავი იყო ჩვენი სვლეპია-ტვლეპია ამ დროს. ვერაფერი ვერ გააწყო: ბრდღვინავდა, კო-





ტრიალებდა, თავებს იქნევდა, მაგრამ ამ პაწია, მტკიცედ დარაზმულ მტერთან ვერას გახდა...

აქ კი შევაჩერეთ ტყაწუ. შევეკითხეთ: — განა იმ დროს თქვენც იქ იყავით-თქო?

— დიალო, — გვიპასუხა, — შემთხვევით გამოვიარე და ესეთ საცოდავ მღვდომარეობაში რომ ენახე, მეც აღარაფერი დავუშავე, თუმცა ჩემი განუყრელი თოფიც ზედ მეკიდა და გარეულ ღორზე სანადირო ფოლადის დანაცაო. აქ ცოტა გაეცინა და შემდეგ დასძინა:

— სასაცილო კიდევ ის იყო, რომ სწორედ ამ დროს ცხვრის ფარამ ზედ ცხვრის წინ ჩაუარა და, როგორც შევატყვეცხვრებს სრულიადაც არ შეშინებიათ მათი მოსისხლე მტრისა. ის კი არა, ხტუნვა იწყეს, კუნტოში, თითქო აჯავრებდნენ კიდევო. ცხვრის ფარაში წვერებ-ცანცარა თხებიც ვრია და იმათაც კი, ამ დარბაისელ „ხალხს“, რომლებიც არასოდეს არ იციანიან, ღიმი მოპგვარა დათვის უმწეო კოტრიალმა და უძლურების ბრდღვინვა-ღრიალმაო.

დაასრულა თავისი ამბავი სიტყვაწყლიანმა ტყის მცველმა.



ეს პატარა ნაწევრი „სტუმრები“ ამო-
ლებულია ნ. ნაგრელის წიგნიდან „გუ-
ლადი ბიჭი“. წიგნში მოთხრობილია დიდი
ბოლშევიკის, სახელოვანი სახალხო კო-
მისრის, ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის
ცხოვრება.
წიგნს მიმდინარე წელს გამოსცემს სა-
ქართველოს ა. ლ. კ. კ. კ. კ. საბავშვო და
ახალგაზრდობის ლიტერატურულმა
რედაქციამ



ს. ორჯონიკიძე ბავშვობისას

სტუმრები

6 ნაბაჩი

ხშირია იმერეთში სტუმრიანობა. შორე-
ული ნათესავიც კი გაიხსენებს თავის ნა-
თესავს და ერთ მშვენიერ დღეს სახის
მზიარული გამომეტყველებით ეწვევა მას.
მასპინძელი მეტად გახარებულია.

— მობრძანდით, გენაცვალებ, დაბრძან-
დით, არ მოიწყინოთ! — ებოდირებება სტუმ-
რებს.

მალე ეახშამსაც გააჩაღებენ. სტუმრები
და მასპინძლები ტკბილად ბაასობენ სუფ-
რასთან. სტუმარი რაიმე ახალ ამბავს მოჰ-
ყვება — ან თავგადასვალს, ან შემთხვევებს
მეზობლების ცხოვრებიდან.

ამ დროს ბავშვებს ჩვეულებრივად არ
დასვამენ სუფრასთან და აღიიანაც აძინე-
ბენ. მაგრამ სერგო გამონაკლისი იყო,
სტუმრების მოსვლისას შუაღამემდის არ
დაიძინებდა.

— ბიჭო, დაწექი! — ეტყოდნენ სერგოს.
მაგრამ სერგო არასგზით არ დაწებოდა.
დადგამდა დაბალ სკამს ბუხართან, დაჯ-
დებოდა მასზე და უსმენდა სტუმრებს.

აი, იმ ღამითაც ასე მოხდა. მოხუცმა
სტუმარმა რა არ უამბო მასპინძლებს,
ზოგი მართლაც სინტერესო და სასარ-

გებლო, ჭკუის სასწავლო, მერე წამოიძი-
ხა: — უიმი, კაცო, წელან უნდა მეთქვა,
კინალამ დამეიწყადა! რა უცნაურებს ლა-
პარაკობს ეს ნასწავლი ხალხი: ადამიანი
მაიმუნისაგან განსდაო. აბა, როგორ დავი-
ჯერო ეს! ადამიანი ღმერთმა გააჩინა,
მაიმუნიც ღმერთმა გააჩინა, მაგრამ ის
მაიმუნად, ადამიანი კიდევ ადამიანად.
წარყენეს ქვეყანა ამ ნასწავლებმა, ღმერთს
ეწინააღმდეგებიან, სისულელეებს ჩმახ-
ვენ!

— ეს სისულელი არ იქნება! — დაბეჯი-
თებით წამოიძიხა სერგომ.

— რა, იცი, ბიძია, შენ?

— რა ვიცი და მაიმუნი მართლაც მგავს
ადამიანს.

— სად გინახავს მაიმუნი?

— ხარაგაულში ვნახე, წიგნებშიც არის
დახატული.

— არა, ბიძია, არ დაუჯერო ნასწავ-
ლებს.

— მე მაინც მჯერა, რომ მაიმუნი ღო
ადამიანი ნათესავები იქნებოდნენ, — მტკი-
ცმდ თქვა სერგომ.

— ნათესავებიო!? — გაოცდა ყველა, —
რას ამბობს ეს ბიჭი!

ნანა პატარა, ნანა

ხეებს ფოთლები სცივია,
ზამთარმა მოატანა.

აკვანში ხომ არ ცივა?
ნანა, პატარა, ნანა!

დედილო შენზე დარდობს,
მამაც არა გყავს, ვანა?
იძინე, გულის ვარდო,
ნანა, პატარა, ნანა!

არ გაიმკრთალო ძილი,
მზე 'შუქსა გფენდეს თანა,
საბუკოთა ქვეყნის შვილო,
ნანა, პატარა, ნანა!

შენთვისა ზრუნავს, მზევარდო,
ბელადი — ხალხის მამა,


დედილოც აღარ დარდობს,
ნანა, პატარა, ნანა!

ვით გარიყრაჟის ცქრიალს,
შესტრფის მთელი ქვეყანა
ჩვენს დიდ კონსტიტუციას,
ნანა, პატარა, ნანა.

შუგების მარგალიტები
მზის კალთით მოგვიტანა,
რაც ბრძოლით მოგვიძიკია...
ნანა, პატარა, ნანა.

ხეებს ფოთლები სცივია,
ზამთარმა მოატანა.

აკვანში ხომ არ ცივა?
ნანა, პატარა, ნანა!



მამკალიძის მამკალიძე

ნეტავ მალე გავიზარდო,
მინდა გმირი გავხდე,
ფეხთეთირი და ყელმალალი
ლურჯა ცხენი მყავდეს.

გავაქენო ხმალაწვდილმა,
გავიყოლო ჯარი,
მტერს საითაც შევეუტო —
ვაცვლევინო მხარი.

გადავრეკავ საზღვარს იქით
ჩვენზე მოსულ მტერსა,
სულ ზედიზედ გადავწვენ,
ვერ წამივლენ ვერსად!

ძია სტალინს მოვახსენო,
ჩვენ საყვარელ ბელოდს:

— კვლავ გამგზავნე სადაც გინდა
წითელ დროშის მცველად!
ვასახელებ ჩემ სამშობლოს —
საბჭოეთის მხარეს,
კარგი ბიჭი რომ ვიქნები,
სახლსაც გავახარებ.

ნეტავ, მალე გავიზარდო,
უნდა გმირი გავხდე,
აღესილი ხმალი მქონდეს,
ლურჯა ცხენი მყავდეს.



ვირთაგვა

ქალაქგარეთ ერთერთ ეზოში ცელქი თემო სკოლიდან დაბრუნებულიყო და მოჭრილ აკაციის კუნძზე ჩამომჯდარიყო.

ეს ქვეყნის ამკლები, მამაცი ფეხბურთელი და ფეხსაცმელების მგლოჯავი, ეხლა კუნძზე ისე იჯდა, გვეგონებოდათ მოკრძალებული პატარაძალიაო. იჯდა თავჩაღუნული და ხან თავის ძირგავარდნილ ფეხსაცმელს დასცქეროდა, ხან ჩანთას ოხვრით გადახედავდა.

— თქვენი შვილის ყოფაქცევის გამო გთხოვთ ხვალ დილის 9 საათისათვის გამოცხადდეთო, — ასეთი ბარათი იყო იმ ჩანთაში და არასოდეს თემოს ის ჩანთა ისეთი მძიმე არ სჩვენებია, როგორც იმ დღეს.

თითქოს ხელ-ფეხზე წისკვილის ქვეები მოუბამსო, სკოლიდან ბავშვი ფეხებს ისე მოათრევდა, ეზომდის ძლივს მოაღწია, მაგრამ განა სახლში ვერც ადვილად შებედავს შესვლას?

ან დედას რაღა პირით უნდა დაენახოს?! მხოლოდ ერთი კვირაა, რაც თემოს ფეხსაცმელი უყიდეს, დღეს კი ფეხბურთის თამაშით ძირი ვაგდებინა, თანაც სკოლის ფანჯრები ჩაღწეა და ორ სავანშიაც ცუდი ნიშანი მიიღო.

— ოხ, ნეტავი დღევანდელი დღე არ გათენებულიყო, — ფიქრობს დაღონებული თემო და მეტი მღელვარებით აკაციის კუნძს ქერქს აძრობს და აქაც ვერ მოუსვენია.

— ნეტავი იმ დღეს ჩემს შესარცხვენად მამისათვის პირობა მაინც არ დამედო, უსათუოდ შენს სიტყვას გავიგონებ, აღარ ვიცელებ და კარგად ვიმეცადინებ მეთქი! — ეჩხუბება თემო თავისთავს. — მაგრამ რა ვქნა, თუ თავს ვერ ვიკავებ! შიგნიდან რაღაც მილიტინებს, არ მაყენებს, თუ

ფეთიანივით არ გავვარდი და ქვეყანა არ ავიკლე. განა ჩემი ბრალოა?! ეხ, ნეტავი შენ, ღურგალო, რომ დარდი არ გაწუხებს და შენთვის ტკბილად ღიღინებ.

ფიქრობს თემო და პატარა ფარდულს გასცქერის.

ხანში შესული ღურგალი დაწყნარებული გულით დინჯად ამოძრავებდა შალაშინს და აბრეშუმის მსგავსი ბურბუშელის შრიალს წყნარ სიმღერას აყოლებდა.


ამ დროს თემოს ფიქრები და ღურგლის ღიღინი რაღაც უცნაურმა ხმაურობამ დაარღვია. თემომ ალაყაფის კარებისაკენ გაიხედა და რას ხედავს?

მთელი უბნის ბავშვებს თავი მოეყარათ და ვიღაც მექიანურეს უკან მოსდევდნენ. მექიანურე ეზოს შუაგულში გაჩერდა, ბავშვები შემოერთყენენ და გაფაციცებით უყურება დაუწყეს.

მექიანურემ ქიანური მოიმაჯჯა და სიმებს ხელი შეეხო თუ არა, ბავშვებიც უმალ გაჩუმდნენ. მექიანურემ ჯერ რაღაც ნაღველით სავსე ჰანგი შეასრულა, მერე ხელი სწრაფად ამოძრავა და მშვენიერი საცეკვაო დაუქრა.

ბავშვების სახეზე ღიმილმა იელვა, მაგრამ სიწყნარე კი არავის არ დაურღვევია. თემოც ხელად იქ განდა და ერთი მაღალი ბიკის ზურგსუკან მიიმალო, რომ ფანჯრიდან დედას არ შეენიშნა.

უცებ მარცხენა მხრივ, დანგრეული მარნის ხვრელიდან, დიდი ვირთავვა გამოცუნცულდა, უკანა ფეხებზე შედგა და მუსიკის ხმაზე ისე კარგად იწყო ტრიალი, რომ მაყურებელნი განკვირდნენ. ყველამ პირი დაადო, ყველას გაკვირვება აღმოხდა, ზოგმა ტაში შემოჰქრა, პატარა



ბიჭებმა კი ველარ შოითმინეს და ვირთაგვას დასაქვრად გამოედევნენ.

ვირთაგვამ საფრთხე იგრძნო თუ არა, ლონიერ მაღაყს გადავიდა და ისევ სარდაფის ხერხელს მიაშურა.

მაჟურებელთა შორის დიდი განგაში ატყდა.

— ბიჭო, ალბათ, მთვრალი თუ იყო, თორემ რა ეშმაკმა გამოიყვანა?

— ჰოდა მართალს ამბობ, კაცო, ნამდვილად მთვრალი იქნებოდა, მარნიდან ტყვიან კი არ გამოძვრა!

— ვა, რა ქნა, კაცო, რა!!

— არა, შენი ჯიოიმე, ერთი გამაგებინე, მართლა ვირთაგვა იყო, თუ ყველას მოგვეჩვენა?! — უკვირდა ხალხს და განგაშებდა. მექიანურეც სხვებზე არა ნაკლებ იყო გაკვირებული, მაგრამ ყველაზე უწინ ის მიხვდა, რომ ეს უბრალო ვირთაგვა კი არა, არამედ რომელიმე გამოცდილი ხელით გამოწვრთნილი იყო. მან თავისი დასკვნა სხვა მნახველთაც გაუზიარა და თან სთხოვა, რომ ხალხი სადმე ეზოს კუნჭულში მიმდგარიყო და ხელი არ შეეშალათ, როცა ის მუსიკას ხელმეორედ დაუკრავდა. იმის თხოვნას ყველა დაემორჩილა და განზე გადგა.

მექიანურემ ეხლა ისეთი ტუბილი მუსიკა დააგუჟუნა, ისეთი ლამაზი საცეკვაო აჟღერა, რომ სულ არ ვასულა ორი წუთი, და ვირთაგვა ისევ გამოძვრა და იმანაც ხელმეორე ხალხისთ იწყო ცეკვა

და ტრიალი. ეჭვი აღარ იყო, რომ ეს ცხოველი ან ცირკს, ან რომელიმე დახელოვნებულ მწერტინელს ეკუთვნოდა. ალბათ, პატრონს გამოეპარა ხეტიალის შემდეგ ამ ადგილს მოაგნო, მუსიკას შეჩვეულმა ამ სიმების ქღერას ველარ გაუძლო და უცხო ეზოში ლამაზ ხმებზე ისე კონტად იმიტომ ჩამოუარა.

ღურგალიც იქვე იდგა და ყურზე ფანქარგაკეთებული გაშტერებით უცქეროდა.

როცა ვირთაგვა ხერხელს მიეფარა, ღურგალმა გაკვირვებით გაიქნია თავი და ღიმილით წარმოთქვა:

— აბა, დიდება შენდა, გამჩენო! ღმერთო, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა! მაგას ხომ ადამიანის სიტყვა არ ესმის და ხედავთ, ბავშვებო, რა კონტა ცეკვა შეუსწავლია?! ადამიანს თავის ქუთაზე ისე წაუყვანია, რომ ამ ცხოველს მუსიკაც კი შესწავარებია. ზოგიერთი თქვენგანი კი...

ღურგალმა კიდევ გაიქნია თავი და უფრო ტუბილი ღიმილით განაგრძო:

— ნეტავი უფროსის სიტყვა და დარბეგება თქვენც ისევე შეასრულოთ! იცით, მერე, რა ბედნიერი ვიქნებით? ვინ იცის, თქვენგან მაშინ რამდენი დიდი და ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცი გამოვა!

როგორც ტყვია, ღურგლის სიტყვა თემოს გულს ისე მოხვდა.

მექიანურე წავიდა. მიწნარებულ ეზოში ბურბუშელას შრიალი და ღურგლის ღიმილი ისევ ვაისმა, თემო კი თავიანთ ბინის კარგებს გუნებაშეცვლილი მისდგომოდა და ვაბედულად აკაკუნებდა.

— აბა, ნახე, დედაკო, ნახე, თუ დღეიდან ყველაფერი არ გავიგონო და ისეთი არ გამოვიდე, როგორც საჭიროა, მაშინ რაც გინდათ ის მიყავით! — ბავშვს მტკიცე გადაწყვეტილება თვალებში ცეცხლივით უკვესავდა და ისეთი დამაჯერებელი კილოთი ლაპარაკობდა, რომ დედამ ცელქს ეს დაპირება დღიურში ჩააწერინა. აბა ვნახოთ, თემო თავის გადაწყვეტილებას როგორ შეასრულებს, მეც ვაგეობ, ბავშვებო, და „ოქტომბრელის“ საშუალებით შეგატყობინებთ.

აბა მითხარით,
ვინ ვარ?



მთა-ბარის ჩუმი მოვლით
ვძლიე ყინვა და თოვლი.

მოგეცათ დიდი ღებნა,
ნაკალულს მივეც ენა,

მდინარეს — ლალი დენა,
კაცს — შვება-აღმაფრენა.

ტყეს, ვერცხლის ცვარით ნაბანს,
ვუკერავ ფარჩის კაბას.

ჩემი ხმა სად არ მიაქვს
სამოდ მქროლავ ნიავს,

ჩემს მოსვლას შეჭხარიან
ბურქში ენძელა, ია.

იხარეთ! ვძლიე ყინვა,
აბა, მითხარით, ვინ ვარ?

ზამთარს რომ სუსხი მოჰყვა,
გახსოვთ, გეწოდათ ღოყა,

ხელებს იფშენტდით ზანტად,
გზაც მოსარკული ჩანდა,

ყინვას ვინც ვერ იტანდა,
უფარდებოდა ჩანთა.

ახლა: ეზო და ყანა
წალკოტს რომ დაემგვანა,

ახლა: ტყე, მინდორ-ველი
თქვენ რომ სიამით გელით,

ახლა: ბალი და ბაღა
თქვენ რომ სარბენად დაგრჩათ,

ახლა: ფრინველი ბევრი
თქვენს სიხარულს რომ მღერის,

ახლა: ენძელა, ია
ბურქებს რომ შეფარვიან,
ჩემს მოსვლას შეჭხარიან...

იხარეთ: ვძლიე ყინვა,
აბა, მითხარით, ვინ ვარ?

სიმონ შვაკიანი

შაღვა დადიანს

დღეს ჰობუნას დაჭგუგუნებს,
შაღვა, შენი მამითაღი...
აბა, იმეი, რასაც სთესდი
ცხრაჯერ ხუთი წელიწადი!

არაკრაკდი, საღამურო!
ჩააქსოვე, ჩანგო, ბანი!

ხალხის ხელით იდაფნება
დიდებული ხელოვანი!

და პა, ძმავ, ჰპოვე ღებნა
დიდ სტალინის ეპოქაში!
დღეს მუსიკობს შენთვის ენა!
დღეს გრიაღებს შენთვის ტაში!

ქაბარია

მსმე



ეს ამბავი ოცი წლის წინათ მოხდა. თბილისის ერთერთი კარგად მოძველებული სახლის ქვედა სართულის პატარა ოთახში, რომელიც სარდაფს უფრო ჰგავდა, არაჩვეულებრივი ჩოჩქოლი იყო. პატარა ხის ტახტზე ლამაზად ჩამოშვდარიყო პატარა მასმა. მის სანახავად მოსული მეზობლის ბავშვები, ზოგი მასავით პატარები და ზოგი მოზრდილები, გარს შემოხვეოდნენ, ელაპარაკებოდნენ, თუმცა მასმას არაფერი არ გაეგებოდა და ვერც ვერაფერს პასუხობდა.

ოთხი პატარა გოგონა, რომელთა შორის ყველაზე უფროსი 11 წლისა იყო, შემოხვეოდა მასმას, პატარა ხელგებზე კოცნიდნენ და ერთი მათგანი თმებზე ხელს უსვამდა. ესენი იყვნენ მასმას დეიდაშვილები.

ოთახის გარეთ, დერეფანში ერთ დიდ აგურზე ჩამოშვდარიყო მასმას დეიდა მარო. ის უხმოდ ტიროდა, მაღალ ლოყებზე ჩამოცივებულ ცრემლებს იწმენდდა. მეზობლები ცდილობდნენ ენუგეშებინათ და დაერწმუნებინათ, რომ მასმას დედა ცოცხალი იქნებოდა, მაგრამ ის გადაწყვეტილ უმტკიცებდა ყველას:

— ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, არ დასთმობდა თავის საყვარელ შვილს, ქლეჩით იყო დაავადებული და სოფლად გადასახლდა. მეც იმდენი საშუალება არ მქონდა, რომ წავსულიყავი სანახავად.

მეზობლის ქალები წყველა-კრულვას უთვლიდნენ არსებულ ხელისუფლებას, რომელმაც ხალხი შიმშილით განადგურებამდის მიიყვანა, მაგრამ პატარა მასმას

ვერაფერს შეველოდნენ და ვერც მის დეიდას, რომელიც თავის წერილშვილსაც ძლივას არჩენდა.

ამ ოჯახში რამდენიმე ხნის განმავლობაში უზრუნველად ცხოვრობდა პატარა მასმა. სიღარიბისა მას არა გაეგებოდა რა. თავის პაწია დეიდაშვილებთან ერთად ისიც შეექცეოდა დღეში ას გრამ ქაღალს, რომელსაც იმ დროს უღლუფად ღებულობდნენ.

დეიდაშვილებს უყვარდათ მასმა, როგორც ყველაზე უმცროსი ოჯახში, და ისიც მიეჩვია მათ.

მაროს ღარიბ ოჯახში ხშირად დაიარებოდა ერთი შუახნის თურქი ქალი. ის უბანი, სადაც ეს ქალი ცხოვრობდა თავისი ქმრით, მეტად ღარიბი უბანი იყო. მამაკაცი დილით ადრე გადიოდა ქუჩაში, ეგება სადმე რაიმე საქმე ეშოვა, რომ ერთი ლუკმა პურის ფული მიიღო გაეკეთებინა, ქალი კი წამოისხამდა თავზე ჩაღრს, რომ მისი სახე არავის დაენახა, და მორცხვად მიდიოდა მეზობელ მაროსთან, თავისუფალ დროს მაროსთან და მის პატარა ბავშვებთან ატარებდა. მარო მთელი დღის განმავლობაში ხელსაქმეს აკეთებდა, მდიდრების სარეცხი მოჰქონდა შინ და რეცხავდა, საღამოობით კი არ შივებს ქსოვდა და ამ ნაქსოვს ბაზარში ჰყიდდა.

მაროს ბავშვები და პატარა მასმა ძლიერ მიეჩვივნენ თურქის ქალს, ერთ დღეს რომ არ მოსულიყო, მოიწყენდნენ. მასმა კი ისე მიეჩვია ამ ქალს, რომ ხშირად ღამეებს მასთან ათევდა, დედად თვლიდა.

თურქის ქალი თავის ქმრით ყოველთვის

ეხევეთოდა მაროს — მასმა მოგვეკრი, ვი-
შვილებოთ.

ერთ მშენიერ დღეს მასმა საბოლოოდ
გადასახლდა თავის დედობილთან. პატა-
რა მასმა უდარდელად ცხოვრობდა. დე-
დობილთან ერთად კვლავაც ხშირად
ესტუმრებოდა ხოლმე თავის პატარა
დედაშვილებს. მასმას დედობილი შეხზა-
როდა პატარა გოგონას, რომელმაც სი-
ხარული შეიტანა ამ პატარა მყუდრო
ოჯახში.

მაგრამ მასმას გაუმტყუნდა იმედი. მისი
დედობილი შემოდგომაზე გაცივდა, ფილ-
ტრების ანთება დაემართა და საბრალო
ქალი მალე გარდაიცვალა.

დარჩა პატარა მასმა მამობილის ამარა.

ცალკე უმუშევრობა აწუხებდა საბრა-
ლო კაცს, რომელიც ყოველდღე იმდენს
ძლივს შოულობდა, რომ პატარა მასმას
კუჭი გამოეძღო.

სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნი-
ლი. ყველაფერი უბედურება ერთად
დაატყდა: ცოლის სიკვდილი, უმუშევრო-
ბა. სახლში არაფერი გააჩნდა, ყველაფე-
რი გამოიტანა და ბაზარზე გაყიდა, რათა
მშვირბები არ დახოცილიყვნენ, მაგრამ
სამუშაოს მიიწვევსად შოულობდა.

ერთ დღიას, როდესაც მარო მოვიდა
მასმას სანახავად, მას იმ ბინაზე სულ სხვა
ხალხი დაუხვდა. სახლის პატრონი შუბლ-
შეკრული გამოვიდა და გულცივად უპა-
სუხა შეკითხვაზე:

— აბა რა ვიცი სად გადავიდნენ, მე
მათ გზას არა ვკითხულობ!

მარო თვალცრემლიანი დაბრუნდა შინ,
ბევრი ეძება, ბევრი იკითხა, მაგრამ მას-
მას კვალს ვერ მიაგნო.

სუსხიანი ზამთარი იყო. ქუჩებში ხალხი
ისეთი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, გვეო-
ნებოდათ გარბიანო. თბილისის ქუჩებში
პურის რიგი გათენებინანვე ეწყობოდა.

ზოგი აშკარა უკმაყოფილებას გამო-
თქვამდა მენშევიკური ხელისუფლების მი-
მართ.

კარგა რომ გათენდებოდა და ყინვა
ცოტას უკლებდა, თბილისის ქუჩებში
ხშირად ხედავდნენ გამვლელ — გამომვლე-
ლნი შვიდი წლის თმახუჭუჭა შავკვრემან


გოგონას. მას, მეტად მიმზიდველს, მხო-
ლოდ საშინლად გაყვითლებულს, ცალ
ფეხზე წინა ეცვა, დაღვჯილი ჩუსტე
ბიდან ფეხები უჩანდა.

გოგონას თან ახლდა 40—45 წლის გამ-
ხდარი და ჩაყვითლებული მამაკაცი. იმა-
საც დაღვჯილი და დაკონკილი ტან-
საცმელი ეცვა. ხელში დაირა ეჭირა. ის
პატარა გოგონას თითქმის ძალით, მუჯ-
ლუგუნით ათრევდა ეზოებში, დიდრონ
სახლებში, სადაც შეძლებულები ეგულე-
ბოდა; მამაკაცი ხან ეჩხუბებოდა და ხან
უყვავებდა.

პატარა გოგონა კი სიცივით გალუ-
რჯებულ ხელებს ნაძალადევად შლიდა
და ეცკავდა. როდესაც მოიღლებოდა
და იქვე საღმე ცოვ ქვაზე ჩამოჯდებოდა,
მამაკაცი ამ დროს დაირით სთხოვდა აიე-
ნიდან გადამოშდგართ ეწყალობებინათ მათ-
თვის გროშები.

ასე მიდიოდა დამამკირებელი დღეები.
ეს იყო პატარა მასმა თავისი მამობილით,
რომელსაც მეტი გზა ვერ გამოენახა არსე-
ბობისათვის.

მისი იწყებოდა, არეშარეს შვის სხი-
ვები გაზაფხულის სითბოსა შფენდა. ქუჩე-
ბში გამოსული ხალხი სამუშაოდ მიეშუ-



რებოდა. ახლად ამუშავებული ქარხნებ-
დან საყვირის ხმა ისმოდა. ნაცნობები
ერთმანეთს მზიარული გამომეტყველებით
ართმევენდნენ ხელოს და ბაასობდნენ: „რო-
გორ მოგწონს, ჰა, კარგია, რომ გვეშ-
ველა, თორემ შიმშილი სულს ამოგვარ-
თმევდა“.

— რას გვიშვრებოდნენ მენშევიკები.
რას გვიშვრებოდნენ, როგორ გვატყუე-
ბდნენ!

— არა უშვას რა, ძმაო, რუსი ხალხის
დახმარებით საქართველომაც გაიმარჯვა
და ეხლა ფიქრი ნუ გექნება, შიმშილით
ალარ ამოვწყდებით.

ქალაქს გამოცოცხლება ეტყობოდა.
ხალხი გრძნობდა, რომ საბჭოთა ხელი-
სუფლება ნამდვილად იწყება მშრომე-
ლთაზე ზრუნვას.

ამას გრძნობდნენ დიდებიც და პატარა
ბავშვებიც.

— ჩემი მამა უკვე მოეწყო სამუშაოდ.

— ჩემი დედაც! — არა ერთხელ გაიგებ-
დით სკოლებში თვალმცინარე პატარა
ბავშვებისაგან, და თუმცა ისინი ჯერ კიდევ
პატარები იყვნენ, მაგრამ კარგად ხედავ-
დნენ და იცოდნენ, თუ რა იყო მენშე-
ვიკური ხელისუფლების დროს ცხოვრე-
ბა, რა იყო შიმშილი.

სამაისოდ თბილისი საზენიმოდ მორთუ-
ლყო. სახლებში ყველგან წითელი ბაი-
რალეები გადმოეკრდათ. ხალხი ემზადე-
ბოდა პირველი მაისის დღესასწაულის
შესახვედრად.

ემზადებოდნენ ქარხნები, ფაბრიკები,
ემზადებოდნენ ბავშვები, ემზადებოდა
ყველა.

თბილისის გარეთ, სწორედ იმ რაიონს,
რომელსაც ვაკეს ეძახიან, ამშვენებს ახლ-
ად გაშენებული სამსართულიანი აგურის

სახლი. დღეს ამ სახლშიც განსაკუთრე-
ბული მზადება იყო, აქაც ისევე ემზადებო-
დნენ, როგორც ქარხნებში, ~~როგორც~~
ფაბრიკებში, როგორც სკოლებში. ~~სულს~~
სალამოს 7 საათიდან იწყებოდა ბავშვთა
ქარნავალი.

სამსართულიან სახლს ერთი ქალი და
მამაკაცი მიუახლოვდა. მამაკაცი შევიდა
ქიშკრიდან, ქალი კი იქით გაეშურა,
საიდანაც ბავშვების ჭრიამული ისმოდა.

— გოგონა! პატარა გოგონა! თქვენთან
ხომ არ არის ასეთი გოგონა, აი ასეთი,
შავგვრემანი, ხუჭუჭითმიანი? — შეეკითხა
მწუხარებით ქალი და აღერსის ნიშნად
პატარა, მეტისმეტად ეშხიან გოგონას
თმებზე ხელები გადაუსვა.

— პატარა გოგონები ბევრნი ვართ,
დედა. რა ჰქვიან იმ გოგონას, თქვენ რომ
ძებთ? — მკვირცხლად შეეკითხა და თან
გაქცევა დააპირა.

— ჩემს პატარა გოგონას მასმა ჰქვიან,
შვილო, მასმა.

— მასმა?! — გაკვირვებით გაიმეორა გო-
გონამ და გაიქცა.

ეს ქალი და კაცი, რომელნიც ამ რამ-
დენიმე წუთის წინათ ერთდამავე გზაზე
მოდიოდნენ და ერთ ფიქრს მოეცვათ
ორივენი, ახლაც სულ ახლოს იდგნენ
ერთმანეთთან და თითქოს ახლაც ელო-
დნენ ერთად რაღაცა სიხარულს.

აივანზე ყვიღი-ხვიღის უმატეს ბავ-
შვებმა. პირველი ზარი დარეკეს. სტუ-
მრები გაემართნენ დარბაზისაკენ. ყველა
ადგილს იკავებდა.

— აი მასმა! — შესძახა პატარა გოგონამ.

— მასმა! მასმა! მასმა! შენ გენაცვალე!
ცოცხალი ხარ? — ჰკოცნიდა და ეხვეო-
და ქალი და თან სიხარულით ცრემლებს
ღვრიდა.





დაგვიზამთრდა, მოიბურა,
თოვს და ქარი დაქრის.
ღამით სოფელს უვლის მურა,
უყუფეს ველის ნადირს.

სოფლის გარეთ მგელი დაძრწის
და საკბილოს ეძებს,
მაგრამ მურა მსუნაგ ნადირს
აფრთხობს და აფეთებს.

კოლექტივის პირუტყვს ამ დროს
თბილ ბოსელში სძინავს,
დე, გრიგალმა ინავარდოს, —
იქ არც ქრის, არც ყინავს.

ერთ მხარეზე ძროხებია,
დაწოლილან მწყრივად.
სთვლემენ, არ იცოხნებიან,
არც შიათ, არც სცივათ.

მათ ბინაში რომ შეხვიდეთ,
გული გაიხარებს.
აქეთ მხარეს შეხეთ კიდევ
ცხენებსა და ხარებს.

ფერდსავსე და გამძღარნი
ნებიერად სთვლემენ.
გრძელი არის ზამთრის ღამე,
ჯერ რა გაათენებს.

შორს გრიგალი არბევს ხრამებს,
შეუწყვეტლად წივის,
ბნელა ძალზე, ზამთრის ღამე
გრძელია და ცივი.

გაღის ხანი, შემოთენდა
და მამალიც ყვივს,
ზამთრის დღია ჩამოდგება
სუსხიანი, ცივი.

გარეკავენ პირუტყვს წყალზე,
ქარი ისევ გრგვინავს,
სვამს პირუტყვი და ნაკვალზე
უბრუნდება ბინას,

სადაც ეგრე კარგია და
სადაც ეგრე თბილა.
წყალნასვამი მადიანად
კამს ჩალას და თივას.

ა კ ა კ ი ს


ჩვენო დიღო მწერალო,
საყვარელო აკაკი,
დღესაც ესმის ჩვენ ყურებს
შენი ლექსის რაკრაკი,

მგოსანი ხარ ქართველი
ყველა მშრომელ ერისო,

და შენ საყვარელ ლექსებს
ხალხი დღესაც მღერისო.

შენმა ტკბილმა ლექსებმა
ხალხის გული გაწმინდა,
ალარ არის მოწყენილი
შენი კარგი მთაწმინდა.

სოფ. სკინდორელი ბავშვი სპარგო შუაბაქიძე



„კაკი და შ. დადიანი ყვარელში იჭაბუგავადის სახლში 1911წ.წ.“

ხალხის საყვარელი მწეჩაილი

აღ. სუღავე

შალვა ნიკოლოზის-მე დადიანი ქართველი ხალხის საყვარელი მწეჩაილია. მან ეს სიყვარული დაიმსახურა თავისი მწეჩრელობითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით. ძველად, მეფის ხელისუფლების ხანაში, ისე როგორც ყოველ მოწინავე ქართველ მწეჩრალს, შალვა დადიანსაც ავიწროებდნენ იმ სიმაართლისათვის, რომელსაც იგი გამოთქვამდა თავისი ნაწეჩრებით, რადგან იგი ისეთი მწეჩრალი იყო, რომელმაც მიზნად გაიხადა ქართველი ხალხის სამსახური.

ძველად მას არ გააჩნდა ნაყოფიერი

მუშაობისათვის კარგი პირობები, ასეთი პირობები მას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შეუქმნა. საბჭოთა ხელისუფლების დროსვე დაფასდა მისი ღვაწლი და მას სახალხო არტისტის სახელწოდება მიენიჭა. შარშან ჩვენმა ქვეყანამ შ. დადიანი აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ამჟამად კი მას გადაუხადა სამწეჩრლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლის იუბილე.

შ. დადიანის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის ისტორია ჩვენი ლიტერატურის შესანიშნავი ფურცე-



ლია. მისი მხატვრული ნაწარმოებები, პიესები, მოთხრობები ყოველთვის დიდი ინტერესით იკითხებოდა. იგი ყოველთვის სარგებლობდა განსაკუთრებული ყურადღებით, რადგან რასაც წერდა, წერდა მიზიდველი ენით.

რაც შეეხება შ. დადიანის ნაწარმოების შინაარსს, ამ მხრივ იგი თავიდანვე ცნობილი იყო თავისი მაწინავეობით. ეს არც შეიძლება იყოს ასე არ ყოფილიყო, რადგან შ. დადიანი ბავშვობიდანვე აღიზარდა ისეთ წრეში, სადაც მოწინავე აღმზანები ტრიალებდნენ. ეს წრე იყო შალვას მამის ოჯახი.

შალვას მამა თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე იყო, მის ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები: აკაკი წერეთელი, ი. ჯავახიძე, გიორგი წერეთელი, ი. მანაბელი და სხვ. პატარა შალვა მწერალთა ამ წრეში ტრიალებდა და, როგორც ფხიზელი ბავშვი, ყურს უგდებდა მათ, ითვისებდა ცხოვრებისადმი დაკვირვების უნარს, რაც მას, როგორც მწერალს, შემდეგ ძალზე გამოადგა.

ერთ თავის მოგონებაში შ. დადიანი იგონებს, თუ როგორ გაიცნო მან პირველად აკაკი წერეთელი: „აკაკი ჩემი ბავშვობის დროს მყავს გაცნობილი. ჩვენი ოჯახი მაშინ თბილისში ცხოვრობდა და მამასთან ხშირად შემოდიოდა აკაკი. როგორც შემდეგ ვაგიგე, მაშინ არჩევდნენ „ვეფხისტყაოსანს“, — წერს შ. დადიანი და შემდეგ განაგრძობს: აკაკის ბავშვები ძალიან უყვარდა და მახსოვს, როგორ მეთამაშებოდა, როგორ მართობდა. პირადად მისგან ვისწავლე ერთი მისი პატარა ზმა: „ჯამბაჯურ დღე ლილას იღებს, დამღამობით ღებავს შალსო“. ასე რომ აკაკისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე მომდევს.“ (მოგონებანი აკაკიზე).

ლიტერატურისადმი სიყვარული შ. დადიანს ბავშვობიდანვე მოსდევდა, რაც მისი ბიოგრაფიის შესანიშნავ მხარეს შეადგენს. პატარა შალვას მამამ შინაურული

განათლება მისცა, მას არ სურდა, რომ თავისი შვილი რუს ჩინოვნიკ მასწავლებელებისათვის ჩაეგდო ხელში. ამიტომ შალვას სკოლა მამის ოჯახი და მისი მდიდარი ბიბლიოთეკა ვახდა. იგი ხარბად დაეწაფა თვითგანვითარებას, მაგრამ გაიტაცა თეატრმა, და ის ცხრაშვიტის წლის ყმაწვილი იყო, როდესაც პირველად გამოვიდა ქუთაისის სცენაზე.

მისი პირველი თამაში იმდენად შესანიშნავი იყო, რომ შემდეგ თეატრიდან არ გაუშვიდა იგი. მაგრამ შალვა მარტო აქტიურობით არ დაკმაყოფილდა, მან თვითონ დაიწყო წერა. პირველად წერდა მოთხრობებს, რომელთაც მიიქციეს ყურადღება. შემდეგ დაწერა პიესებიც. 1906 წელს მან დაწერა პატარა პიესა „როს ნალიზობდნენ“. ამ პიესაში გამოხატა მუშათა კლასის უფლების საკითხი. ამის შემდეგ დაწერა „მღვიმეში“, „ვარამი“, „მედი ქირიმე“, „გვემკობი“, „გუშინდელნი“.

1907 წლიდან შ. დადიანი თვითონ დგამდა პიესებს. 1911-12 წლამდის ხელმძღვანელობდა მოგზაურ დასს, რომელმაც შემოიარა საქართველოს ქალაქები და სოფლები. თეატრში შალვა მუშაობდა 1923 წლამდის. ამ ხნის შემდეგ ის უმთავრესად მწერლობას ეწევა.

შ. დადიანი ამჟამად ბერეს მუშაობს, იგი შეუწელებელი ძალით ეწევა მწერლობას, ამთავრებს ახალ ისტორიულ რომანს „ურდუმს“, სადაც გამოხატული აქვს უტუ მიქავას ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ სამეგრელოში. ამას გარდა, იგი როგორც დემუტატი ეწევა საზოგადოებრივ მუშაობასაც, რომ უფრო ნათლად გაამართლოს ხალხის ნდობა და სიყვარული, რომელიც მან დაიმსახურა თავისი მწერლობითა და მოღვაწეობით.

ორმოცდახუთი წლის სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის თავზე საყვარელ მწერალს ვუსურვოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და ნაყოფიერი ლიტერატურული მუშაობა.



მზია & ოთამი



თუმც ბევრი აქვთ სათამაშო,
თუმც საესე აქვთ ეს ოთახი,
მაგრამ მაინც სულ ჩხუბობენ
ეს მზია და ეს ოთამი.

აგერ დათვი პარაშუტით,
აგერ გემი, ღირიჭაბლი,
დიდი ბურთი, მწვანე ავტო –
მომართავ და თვითონ დარბის.
მაგრამ ხელავთ პაწა სკანზე
თვალეუყუნა დედოფალსა?



ამაზე აქვთ მუდამ ჩხუბი
ოთამსა და მზია – ქალსა.

– შენ ბიჭი ხარ, მე კი გოგო.
მე დედა ვარ დედოფალის
და არ მაკლი ავიყვანო,
შემაწუხე მზია – ქალი.


– „მე დედა ვარ!“ თუ ეგერე,
მე მამა ვარ, მომე ჩქარა!
და გაჩაღდა ჩხუბი ისევ,
დატრიალდნენ, როგორც ჯარა.

აქვთ ოთამ, იქით მზია
ეწევიან დედოფალს,
ოთამ ფეხში, მზია თმებში,
რაც ღონე აქვთ და რაც ძალა...

უცბათ მოსწყდა და ძმა ადგილს,
გადავიდნენ ყირამალა,
ხელში შერჩათ გაკლეჯილი,
უთავ-ფეხო დედოფალი.

გ-ლის

რატომ იწვოდნენ ოთახები



მ. კახიძე

ჩვენი წინაპრები რამდენიმე ათასი წლის
განმავლობაში უმ ხორცსა კამდნენ. ისინი
იჭერდნენ ნადირს, კბილებითა და
ფრჩხილებით ცოცხლადვე გლეჯდნენ და
სისხლში ამოსვრილი ხორცით ნაყრდებოდნენ.
მათ დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდნენ
როგორი გემო ჰქონდა შემწვარ ან მოხარშულ
ხორცს. ძნელია გარკვევით იმის თქმა,
როდის დაიწყეს ხორ-

ცის შეწვა. მაგრამ თუ როგორ გაიგეს
სრულიად შემთხვევით, რომ უმ ხორცს
შემწვარი სჯობია, ამის შესახებ მრავალი
ამბავი არსებობს.

მე იმ მრავალ ამბავთაგან ერთს გიამბობთ.
ეს ამბავი ერთ ინგლისელ მწერალს,
რომელიც ასი წლის წინათ ცხოვრობდა,
ძველ ხელნაწერში ამოუკითხავს. მას ამბავი
ძალიან მოსწონებია და თავისი

შვილებისათვის ინგლისურად უმბზნია. მე ამ ამბავს ქართულად ვიამბობთ და ვნახოთ, მოგეწონებათ თუ არა.


ეს მოხდა ძალიან დიდი ხნის წინათ. ერთი შორეულ ქვეყანაში მდებარე პოტი ცხოვრობდა თავისი ერთადერთი ვაჟით. პოტის ვაჟს ბობოს ეძახდნენ. მას დედა ადრე მოუყვდა და როდესაც მამამისი ყოველდღე დილაადრიან ტყისკენ გაემართებოდა, ის, თავისანაბარად მიტოვებული, ათასგვარი აზირობული ცეცქობით ირთობდა თავს. ბობოს ძლიან უყვარდა ცეცხლთან თამაში: თუ კი ხალმე ქარის მიერ შეგროვებული ბალახებისა და ფოთლების გროვას დაისახავდა, უმაღლეს ცეცხლს გაუჩნდა და უეცრად ავარდნილ ქაიკოკონას ვარს უვლიდა, ზედ ახტებოდა მისი ხალისიანი სიკილ-კისკისი არემარეს აღვიძებდა.

ერთ დღით პოტი კვლავინდებურად ტყისაკენ გაეშურა და თავისი ქოხისა და ახლად დაყრილი გოკების პატრონობა ბობოს მიანდო ბობო მამის გასტუმრებისთანავე თავის თამაშს შეუდგა. ქოხის ახლო მამის მიერ მოზიდული ჩაღის ბუღული შენიშნა მსწრაფლ მიიბრინა, ბუღული ცეცხლი გაუჩინა და ხტუნვით ელოდა აღის ავარდნას. მაგრამ მის აღტაცებას მალე ბოლო მოეღო. ჩაღის ბუღულიდან ავარდნილი ალი ქარმა ქოხისკენ გადაიტანა, ქოხი ალში გაეხვია. სულ მალე ქოხი ფერფლად იქცა: ქოხთან ერთად ახლახან დაყრილი გოკებიც დაიწვენენ. რა უნდა ექნა ბობოს? საშველად ვისთვის მიემართა? საწყალ ბიქს ვამოსავალი ვერ ეპოვნა. მამის დაბრუნების ეამის მოახლოვება სულს უხუთავდა მართხვლად მიტოვებულ ბობოს. ის უნუგემოდ ჩაუტყდა და ხელების ფათურით ერთერთი გოკის აკვამღებულ სხეულს სინჯავდა. უეცრად მისმა ნესტოებმა რაღაც სუნი იგრძნეს, რომელიც სრულიად არ ჰგავდა მის მიერ დღემდის განცდილ სუნს.

„რას უნდა ჰქონდეს ასეთი სუნი?“ - გაიფიქრა ბობომ და ნესტოებით ჰაერი ხარბად შეისუნთქა. მაგრამ მაინც ვერ გაიგო, თუ რა გამოკვამდა ამ სასიამოვნო სუნს.

შემდეგ წამოხტა, თვალცრემლიანმა რამდენჯერმე გაიხედა იმ მიმართულებით, საიდანაც ჩვეულებრივად მამა ბრუნდებოდა, და კვლავ ჩაუტყდა, სურდა გავეგო, სულ მკედრები იყვნენ გოკები, თუ კიდევ იყო რომელიმე მთვანში სიცხლის ნიშანწყალი. მან ამ მიზნით ერთ გოკს თითები მჭიდროდ ჩაუჭირა, თითები მხურვალე ხორცმა დაუწვა, და გამწარებულმა ბობომ დასაამებლად ისინი პირში იკრა. უეცრად მის სახეს მწუხარება მოშორდა და თვალები კმაყოფილებით გაუბრწყინდა. რა მოხდა? აი რა: როდესაც ბობომ დამწვარი თითები დასაამებლად პირში ჩაიდო, თითებს დამწვარი გოკის კანის რამდენიმე ნამცეცი მიჰკროდა, და როდესაც გემრიელი ნამცეცები მას პირში მოხვდა, მეტად საამოდ ეჩვენა, და ეს იყო მიზეზი, რომ მას ასე სწრაფად დაავიწყდა დამწვარი თითებიც და ის გაჭირვებაც, რომელიც მამის დაბრუნების შემდეგ მას თავს უნდა დასტებოდა. ჯერჯერობით კიდევ ვერ მიმხვდარიყო მოულოდნელობით დაბნეული ბობო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მისმა ჩლუნგმა გონებამ გაიგო, რომ ამ საამო სუნსა და გემოს დამწვარი გოკი გამოსცემდა.

ამის შემდეგ შემწვარი გოკის გემრიელი ხორციტ გახელებული ბობო არ დაერიდა ხელების დაწვას, ნაცრიდან ამოათრია გოკი, დაფლიდა და, თვალბაეღვარებული, ხორცს მხეცურად იტენინდა პირში. ამ ყოფაში ბობოს მამამ მოუსწრო. როდესაც პოტიმ თავისი ვაჟი





ამ მდგომარეობაში დანახა, შიშით თმა
 ყალბე აუღდა და შეჰყვირა:

— შე საზიზღარო ლეკო, რას ყლიაპე
 მანდ? შენი ძაღლური ოინებით ქობის
 დაწვა არ მაქმარე, რომ ახლა ცეცხლს
 სქამ? რას ჩაღიხარ მეთქი?! — უყვიროდა
 გატოფებული მამა თავის აბეზარ ვაჟს.

— ოხ, მამა! გოქი, გოქი! მოდი, იგეფე,
 რა კარგია დამწვარი გოქის ხორცი! —
 უბასუხა ბობომ და უფრო ხარბად შეექცა
 სანუკვარ საქმელს.

ჰოტიმ დასწყევლა თავისითავიცი და
 თავისი ვაჟის გაჩენის დღეც. ბობოს მამის
 სიბრაზე სრულიად არ აშინებდა. მან მეო-
 რე გოქიც ამოათრია, დაფლითა, მამას ძა-
 ლით ჩაუდო მუქში და თან ემუღარებოდა
 „მამა! ქამე, ქამე! მხოლოდ იგეფე!“ ამ
 სიტყვებთან ერთად ისე მხეცურად იტე-
 ნიდა პირში ლუკმებს, რომ გეგონებოდათ
 დახრჩობას ლამობსო. საცოდავი მამა
 ფიქრსა და ჭოქმანში იყო, მოეკლა თუ
 არა თავისი გაგიყვებული ვაჟი. როდესაც
 მას ხელის თითები ხორცის ნაქერმა დასწვა
 და თითები დასაამებლად, თავისი შვილის
 მსგავსად, პირში იკრა, მისი სიმაგვიც
 შენეღდა, შემწვარი ხორცის ნამცეცხება
 მასშიც იგივე სიამოვნების გრძნობა გამო-
 იწვიეს, რაც მის ვაჟიშვილში. ჰოტი შიშმა
 და გაკვირვებამ შეიპყრო. ვერ ვაერკვია,
 ყველაფერი ეს სიზმარი იყო თუ ცხადი.
 დასასრულ ჰოტი თავის ვაჟთან ერთად

ამ უცნაურად საამო ჯერს მიუჯდა
 ვიდრე არ გაათავა, არ მოეშვა.

ამგვარად ისწავლა სრულიად მშობლები
 ვით ბობომ ხორცის შეწვა. მამამ მკაცრად
 უბრძანა ბობოს ეს ამბავი არავისთვის
 გაენდო. მამა და შვილი ააშენებდნენ ქობს,
 შეჰყრიდნენ შიგ გოქებს, ქობს ცეცხლს
 წაუკიდებდნენ და ქობის დანაცრების
 შემდეგ დამწვარ გოქებს მალიანად შეექცი-
 ოდნენ. ჰოტის მეზობლებმა მალე შენი-
 შნეს, რომ მათი მეზობლის ქობი რაღაც
 ხშირად იწვოდა, მაგრამ მიზეზს კი ვერ
 მიმხედარიყვნენ. მაგრამ მალე საიდუმლო
 ამბავმა ფრთები გამოისხა და ყველამ
 ვაიგო ჰოტის ქობის ასე ხშირად დაწვის
 მიზეზი. ამ დღიდან იმ არემარეში ჰოტის
 მიბაძვით დაიწყეს გოქების შეწვა. იქ
 ყოველ დღელამ ცეცხლმოკიდებული
 ქობების ალი ცასა სწვდებოდა.

ქობების დაწვის ჩვეულება მანამდის
 გაგრძელდა, ვიდრე არ აღმოჩნდა ერთი
 ყველასთან შედარებით ბრძენი, რომე-
 ლმაც დასწავლათ, რომ ქობის დაუწველად
 შეიძლებოდა გოქისა და სხვა ცხოველის
 ხორცის შეწვა. ურჩია მათ შეშის გამოყე-
 ნება. მხოლოდ ამის შემდეგ შეწყდა
 ქობების უთავბოლო განადგურება. შემო-
 იღეს უხეში შამფურები და მისი დახმა-
 რებით შემით დანთებულ ცეცხლზე წვა-
 ვდნენ შინაური ცხრველისა თუ ნადირის
 ხორცს.



ახალი რიგები



მარიჯან, „პარაშუტი“, ლექსები, საბლიტგამის გამოცემა, 1939 წ.

პატარა მეგობრებო, თქვენ კარგად იცნობთ პოეტ ქალს მარიჯანს. მან ბევრი საინტერესო ლექსი და მოთხრობა დაწერა თქვენთვის. ჩვენი ჟურნალის ფურცლებზედაც ხშირად შეხვდებით მის სახელს. ამ ბოლოდროს თქვენ სასიხარულოდ მარიჯანმა კიდევ ერთი შესანიშნავი წიგნი გამოსცა. ეს წიგნია საბავშვო ლექსთა კრებული „პარაშუტი“. ამ კრებულში თავმოყრილია ოცდარვა ლექსი. თვითნაწილი ლექსი გაფორმებულია მშვენიერი, ცოცხალი და თვალწარმტაცი სურათებით.

კრებულში მოთავსებული ლექსები აღწერენ სიცოცხლით სავსე ბაღების დაუღეგარ სუოილებს, ჯანსაღ ცეცხობას და ბავშვების დამოკიდებულებას მათ ვარშემო მყოფ საგნებთან, ბავშვების ვულკეთილობას და ჩვენი ცხოვრების ცოცხალი სინამდვილის ღამაშ მიბაძვას.

ეღექ სიღოს ბაღში უნახავს პარაშუტით ხტომა. მასაც სურს წაშაძაძოს დიდებს და პარაშუტისტი გახდეს, მაგრამ როგორ? სიღო უტებ მოისაზრებს, გამოძებნის ბებიას ქოღვას, აცოცდება ცაცხვზე და აქ კი... მიხვდება, რომ ქოღვით გაღმოხტომა მვეუძღებელია, დარწმუნდება, რომ პარაშუტისტად გახღომა ქოღვით არ შეიძლება.

ღექსში „თვითმფრინავი“ კარგადაა აღწერიღი ბავშვების თამაში, როცა ისინი უბრალო საგნებით თვითმფრინავს აკეთებენ. მათ უყვართ თვითმფრინავი, სურთ მასთან ახღო გაცნობა და თითქოს ეღღვიღებათ კიდევ მისი გაკეთება:

„ბვერი რამე-კი არ უნდა:
გრძელი მერხი და ფიცარი,
ზეღ კაღათი ჩასაჯღომად,
და მანქანა სულ მხაღ არი!“

ავტორი შემღევ ღექსებში აღწერს ბავშვების საყვარელ თოღლის მოსვღას,



ნაძვის ხეს, მერცხლებს, დაბადების დღეს, ციგაობას, და ყვეღვან მომზიბღავი სიმსუბუქითა და კეთიღხმოღვანებითა ჟღერს სტრიქონები.

აბა ყური ღაუღღეთ, როგორ გაღმოგვეცემს ავტორი ციგაობის დროს გიგასა და ნონას საუბარს:

„ჩვენი ციგა ყვეღვას უსწრებს, —
ეუბნება ნონას გიგა:
— წეღზე მაგრა მომეხვიე,
როგორც დეღამ დაგვარიგა“.

ანღა ღექსში „ოქტომბრის დღესასწაული“ მომზიბღავი უბრალოებით წარმოგვიღვენს ავტორი ოქტომბრის ზეიღის სურათს.

ამ წიგნში წარმოღვენიღი ყვეღა ღექსი ახღოა ბავშვის ბუნებასთან. უბრალო ენითა და მსუბუქი ღექსით გაცოცხლებულია ბავშვის მისწრაფება, სურვიღი, თამაშობანი და მისი საყვარელი ცხოველები. ამიტომ ეს წიგნი ბავშვების საყვარელ წიგნად გაღაიქევა.

59-71



გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

აღ საჩინოალი


I

გარეული ფრინველია,
 მაგრამ ვხედებით შინაც გაზრდილს,
 ბოლო უგავს დიდ მარაოს,
 მონატულს და კონტად ვაშლილს.
 მუდამ გინდათ რომ უცქიროთ,
 ლამაზია, საკვირველი!
 ეხლა ამის გამოცნობას
 მე—ავტორი—თქვენგან ველი.

II

კუდფარფაშა ცხოველია.
 ხტუნია და ძაღზე ცეტი,
 ხიდან ისე დაეშვება,
 როგორც კარგი პარაშუტი.
 დასაჭერად სამწელოა,
 რადგან არის იგი ფრთხილი,
 საქმელად და საქანტუნად
 ერთობ უყვარს რკო და თხილი.

ღ ა ბ ი რ ი ნ ზ ი



ღამშეული ციკუნია თავეს
 გამოეკიდა. შეშინებული თა-
 გვი ამ ლაბირინტში შევარდა
 და გაინაბა. დგას ციკუნია
 ლაბირინტის კარებში და ფი-
 ქრობს: საით წავიდეს, რომ
 ეშმაკი თავუნია ბრჭყალებში
 ჩაიგდოს?
 აბა გამოიცანით, რომელი
 გზით უნდა წავიდეს ციკუნია,
 რომ თავი დაიჭიროს?